ნათია ფირცხალავა -

სტალინური ეპოქა-ქალები

შესავლისათვის

ქალთა როლი საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი საკვანძო საკითხია, რომელმაც დიდი გავლენა იქონია ქართულ მენტალიტეტზე. სლავი ქალის გაიდეალებამ გამოიწვია თუნდაც ის, რომ მამაკაცთა გარკვეული კატეგორია საბჭოთა კავშირის ნოსტალგიას დღესაც „სლავ ქალთა“ ნოსტალგიად აფასებს.

ზოგადად ტოტალიტარიზმს დღეს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მწირი და ფორმალური ადგილი უკავია. საშუალო საფეხურზე (10-11-12 კლასებში) „ბადეში“ მას მხოლოდ 5 საათი აქვს დათმობილი, თემატიკა კი მწირი და ზოგადია. არც მსგავსებებზე ხდება მსჯელობა, არც - განსხვავებებზე. ახალი თაობა ისე ამთავრებს სკოლას, რომ ამ ფენომენის შეფასება არ ხდება და, შესაბამისად, მოსწავლეთა დიდ ნაწილს წარმოდგენა არ აქვს, თუ რატომ იყო ხშირ შემთხვევაში ტოტალიტარულ სახელმწიფოებს შორის ასეთი მსგავსება? კონკრეტულად რაში მდგომარეობდა ეს მსგავსება? ტერორში, ცენტრალიზაციაში, რელიგიისადმი დამოკიდებულებაში? მოსწავლეებმა არ იციან და, შესაბამისად, არც მიდის ანალიზი იმ ფაქტზე, თუ რატომ განსხვავდებოდა საბჭოთა კავშირის ქალებისადმი მიდგომა ფაშისტური გერმანიის, ნაცისტური იტალიის თუ ფაშისტური ესპანეთის მიდგომებისგან? რა იდო ამ პოლიტიკის უკან? რატომ იყო, რომ მაშინ, როცა ჰიტლერისთვის ქალი განიხილებოდა როგორც „ტაძარი, სამზარეულო, ბავშვი“–ს კონტექსტში, როცა მუსოლინის ცნობილი ციტატაა - „ქალები უნდა გვიჯერებდნენ და გვმორჩილებდნენ“; „ქალები არაფერს წარმოადგენენ, გარდა იმისა, რომ ბავშვებს „აწარმოებენ“ (მუსოლინის საყვარელი ნაპოლეონისეული ფრაზა), რატომ გახდა საბჭოთა ქალი მამაკაცის „თანასწორი?“ და იყო კი ეს თანასწორობა რეალური? რა როლს თამაშობდა ქალი საბჭოთა კავშირში? რა იყო ეს „თანასწორობა“ ფარსი თუ მხოლოდ პროპაგანდა? ხდებოდა კი ეს სლავი ქალის განდიდების მიზნით, (რუსიფიკაცია) თუ კიდევ სხვა მიზანი (თუ ნაღმი) იდო ამ პოლიტიკაში? როგორი იყო ამ პოლიტიკის დინამიკა?

იმისათვის, რომ მოსწავლეებს გარკვეული წარმოდგენა შეექმნათ, შეძლონ ტოტალიტარულ სახელმწიფოებში ქალისადმი დამოკიდებულების მსგავსებებისა თუ განსხვავების დანახვა, იმსჯელონ ამგვარი პოლიტიკის არსსა თუ მიზანზე, მინიმუმ საჭიროა, რომ 11 და 12 კლასებში ისტორიის სწავლება მოიცავდეს მხოლოდ მეოცე საუკუნეს და არა ზეზვადან მოყოლებული ისტორიას ვიდრე დღემდე.

საბჭოთა ქალი სტალინის დროს

საქართველოში გამოდიოდა პაპიროსი „საქართველო“ („Грузия“), რომლის კოლოფი სხვადასხვა დროს სერგო ქობულაძემ და ლადო გუდიაშვილმა გააფორმეს, თუმცა, თუ მსახიობ აკაკი ვასაძის მოგონებების მიხედვით ვიმსჯელებთ, „საქართველოს“ მოხატვა სტალინთან შეთანხმებული არ ყოფილა, რაც კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა გუდიაშვილს, რომელმაც ბელადს მოლოდინი გაუცრუა და „შეურაცხყოფა“ მიაყენა არა უბრალოდ ქალს, არამედ ქართველ ქალს![1]

[1] http://www.radiotavisupleba.ge/content/stalin-and-georgian-women/24922000.html

- *დააკვირდით ქობულაძის ნახატს. როგორ ფიქრობთ, რას შეიძლება გამოეწვია სტალინის უკმაყოფილება?*



გუდიაშვილის ნახატი[2]

აკაკი ვასაძე საქართველოს კომპარტიის მაშინდელ ხელმძღვანელთან, სტალინის ბავშვობის რამდენიმე მეგობართან და სხვა ქართველ მსახიობებთან (აკაკი ხორავასთან, სპარტაკ ბაღაშვილთან) ერთად 1946 წლის ოქტომბერში სოჭში დასასვენებლად ჩასულ სტალინს აგარაკზე ესტუმრა. სტალინისგან განსხვავებით, ვასაძე „საქართველოს“ ეწეოდა. ფრაგმენტი მსახიობის მოგონებებიდან:

„საუბრის დროს მომიახლოვდა, მე პაპიროსის კოლოფი ამოვიღე, რომ მომეწია. ამოვიღე კიდეც ერთი ღერი და კოლოფის უკან, ჯიბეში ჩადებას ვაპირებდი, რომ შემაჩერა და მითხრა:

- „საქართველოს“ ეწევი, ხო? ეს პაპიროსი, „საქართველოს“ ყუთია?!

- დიახ, ამხანაგო სტალინ. ხომ არ ინებებთ?

- არა, მაგიტომ არ მიკითხავს, უბრალოდ დავინახე და გამახსენდა. განა პირველად ვხედავ, – შეჩერდა და წამით ჩაფიქრდა, – ჯერ ერთი, პაპიროსის ასეთი სახელწოდება გაგიგია? მერე კიდევ, ასეთი სახელწოდებით უშვებ პაპიროსს და ყუთზე კი ფეხებგაჩაჩხული, გულმოღლეტილი ქალია მიკრული. ვის წარმოადგენს ეს ქალი – ძველს, ახალს თუ მომავალ საქართველოს? ამის დამხატავს არც ცოლი ჰყავს, არც დედა, არც ქალიშვილი; ან სინდისი

[2] *პაპიროს "საქართველოს" კოლოფი (მხატვარი - ლადო გუდიაშვილი)* *http://www.radiotavisupleba.ge/content/stalin-and-georgian-women/24922000.html*

მაინც არ გააჩნია, ქართველი ქალი ფეხებგაჩაჩხული, გულმოღლეტილი მეძავის სახით რომ გამოუყვანია ასე საქვეყნოდ?“ [3]

აქტივობა:

ამსჯელეთ მოსწავლეები ამ წყაროების ირგვლივ.
რა განსხვავებას ხედავენ ქობულაძისა და გუდიაშვილის ნახატებს შორის?
როგორ აფასებენ სტალინის სიტყვებს?
„საქართველოს“ მოხატვა სტალინთან შეთანხმებული არ ყოფილა, რაც კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა გუდიაშვილს“[4] - იმსჯელონ ამ ფაქტის გარშემო.

საბჭოთა პილოტი ქალები მეორე მსოფლიო ომის დროს. 1930-იან წლებში ქალებს ატრეინინგებდნენ როგორც ინჟინრებს და ტექნიკოსებს. [5]

1924 წლამდე საბჭოთა მთავრობა ცდილობდა ქალები გაეთანასწორებინა მამაკაცებთან. იდგმებოდა ნაბიჯები, რომ დამსხვრეულიყო ტრადიციული ოჯახის გაგება. ლენინი ამ საკითხში შედარებით კონსერვატორი იყო, ვიდრე მემარცხენე ფემინისტი ბოლშევიკების ლიდერი ალექსანდრა კოლონტაი[6]. ადრეული რეფორმები მოიცავდა[7]:

- კონტრაცეპტივების თავისუფალ გამოყენებას;
- აბორტის ლეგალიზებას (ლეგალიზებული იყო 1920 წლიდან);
- ქორწინების პროცედურის გამარტივებას (ხანმოკლე სამოქალაქო ცერემონიები და დარეგისტრირება);
- განქორწინების გამარტივებას (განქორწინების მისაღებად საკმარისი იყო ერთი მხარის დასტური).

(ამ კუთხით ფუნდამენტური განსხვავება იყო მარქსისტულ საბჭოთა კავშირსა და ნაცისტურ გერმანიას შორის).
1926 წელს მიღებული ოჯახის ახალი კოდექსი „საერთო კანონი“ ქორწინების შესახებ, ქალებს იმავე უფლებებს აძლევდა, რაც ჰქონდათ ქორწინებაში რეგისტრირებულ წყვილებს.

---

[3] სტალინი - ქართველი ქალის „ქომაგი“ჯიმშერ რეხვიაშვილი http://www.radiotavisupleba.ge/content/stalin-and-georgian-women/24922000.html
[4] იქვე
[5] http://blogs.bu.edu/guidedhistory/russia-and-its-empires/chelsea-adler/-ქალები სტალინის დროს
[6] http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=10324
[7] http://artinrussia.org/baba-proletarka-and-the-kolkhoznitsa-soviet-depictions-of-women-in-anti-religious-posters/-„ბაბა, პროლეტარკა და კოლხოზნიცა“-საბჭოთა დამოკიდებულება ქალთა მიმართ და რელიგიური პოსტერები

კომუნისტებმა მინიმუმამდე დაიყვანეს ქორწინების ასაკი (16 წელი ისლამურ რეგიონებში, 18 – ევროპულ ნაწილში). განათლება ერთნაირად მისაწვდომი გახდა ქალებისათვის.
თუმცა 1935 წლიდან სტალინი ცვლის პოლიტიკას. ქალებს (პოპულაციის გაზრდის მიზნით) ტრადიციული ოჯახებისკენ მოუწოდებენ. ამავე წელს დაიწერა ახალი საოჯახო კოდექსი, რომლის მიხედვითაც განქორწინება რთული პროცესი გახდა, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა აიკრძალა აბორტი. დიდი ოჯახების წახალისების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახები გათავისუფლდნენ გადასახადებისაგან. ომის დროს მრავალშვილიან დედებს მედლებით აჯილდოვებდნენ. 1944 წლისთვის მხოლოდ დარეგისტრირებული ქორწინება ითვლებოდა ქორწინებად. ბავშვები, რომლებიც იბადებოდნენ არარეგისტრირებული ქორწინებებიდან, უკანონოებად ითვლებოდნენ და მამას არ ჰქონდა მისთვის გვარის მიცემის უფლება. გართულდა და გაძვირდა განქორწინება.
1923-28 წლებში მოსახლეობის რაოდენობა წელიწადში 24%–ით გაიზარდა.
1934 წლისთვის განქორწინებულმა ოჯახებმა რუსეთში დაახლოებით 37% შეადგინეს. წელიწადში დაახლოებით 150,000 აბორტი კეთდებოდა. მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა. [8]
თუმცა იმავდროულად სტალინის რეფორმები ქალებს უზრუნველყოფდა ჯანმრთელობის უფასო მომსახურეობით, სამუშაო დაზღვევით, გარანტირებული იყო უფასო საბავშვო ბაღებით, დასვენებების დროს ხელფასები არ იქვითებოდა, ყველასთვის ხელმისაწვდომი იყო განათლება. დაიწყო ოჯახების სახლებით უზრუნველყოფის პროგრამა (თუმცა სახლებით მოსახლეობის დაკმაყოფილება კვლავ პრობლემად რჩებოდა).
ქალები მეტწილად დასაქმებულები იყვნენ მიწაზე, სამკრეველო ფაბრიკებში; მონაწილეობას იღებდნენ ეკონომიკის „მშენებლობის საქმეშიც“. 1939 წლისთვის ინჟინრების მესამედს, ხოლო 79%–ს ქალები შეადგენდნენ.[9]



საბჭოთა ქალები „ენის კომპანიის“ დროს რუსულ ანბანს სწავლობენ.

1928 წელს „მუშაქალების“ რაოდენობა 2,795,000 შეადგენდა, 1939 წლისთვის კი -13 მილიონს. 1933 წლისთვის ქალების 33% დაკავებული იყო ინდუსტრიული საქმიანობით. 1940 წლისთვის ინდუსტრიაში დაკავებულ ქალთა რაოდენობა 43%–ს შეადგენდა.

[8] http://myclass.peelschools.org/sec/11/31085/Resources/IB%20CAMBRIDGE%20COMPANION%20TOPIC%203%20Authoritarian%20and%20Single%20Party%20States%20-%20Todd,%20Allan.,Waller,%20Sally_.pdf (გვ.49-50)
[9] http://myclass.peelschools.org/sec/11/31085/Resources/IB%20CAMBRIDGE%20COMPANION%20TOPIC%203%20Authoritarian%20and%20Single%20Party%20States%20-%20Todd,%20Allan.,Waller,%20Sally_.pdf (გვ.52)

„8 მარტი სამზარეულოს მონობის წინააღმდეგ ქალ მშრომელთა ამბოხის დღეა“. 1932 წელი [1]

აქტივობა:

მოსწავლეებს სთხოვეთ გააანალიზონ პოსტერები. გაითვალისწინეთ, რომ ვიზუალურ წყაროსაც ისეთივე ანალიზი სჭირდება, როგორც წერილობითს. ამდენად სთხოვეთ, თავი აარიდონ ზოგად ფრაზებს და მოახდინონ დეტალიზაცია. მაგ, დასვით კითხვა:

რა არის ბოლო პლაკატის მთავარი გზავნილები (მესიჯები)? რა პრიორიტეტებს უსვამს ხაზსს პლაკატი? რატომ?

დაასაბუთეთ თქვენი პასუხი 3-5 გზავნილის გამოყენებით.

პლაკატი ქალს მუშაობისკენ მოუწოდებს. მასში ნათქვამია: საბავშვო ბაგა-ბაღების, სასადილოების, სამრეცხაოების ქსელის განვითარება უზრუნველყოფს ქალების მონაწილეობას სოციალიზმის მშენებლობის საქმეში (1931 წელი)

- რას ნიშნავს პლაკატზე ასეთი წარწერა? რას გამოხატავს იგი?
- როგორაა გამოხატული პლაკატზე ამ წარწერის შინაარსი?
- რატომ არ არის პლაკატზე მამაკაცების გამოსახულება? რას უნდა ნიშნავდეს ეს?
- რატომ ჩანს მთავარ ფონზე ასეთ სამოსში გამოწყობილი ქალი?
- რა უჭირავს ხელში ქალს? რას უნდა ნიშნავდეს?
- როგორი გამომეტყველება აქვს ქალს მთავარ ფონზე? რას უნდა ნიშნავდეს?
- რა ფერებია გამოყენებული ამ პლაკატზე? აქვს თუ არა სიმბოლური დატვირთვა ამ ფერებს, თუ ის მხოლოდ შემთხვევითობაა?

- რა მიზანი აქვს პლაკატს?

კარგი იქნება, თუ კითხვარს ინდივიდუალუდად დაურიგებთ მოსწავლეებს და სთხოვთ დაწერონ პასუხები. შემდეგ მოაწყვეთ დისკუსია და პასუხები განიხილეთ.

გაკვეთილში მოცემული დანარჩენი წყაროები განიხილეთ იმავე პრინციპის მიხედვით. (მოსწავლეებს სთხოვეთ მოიძიონ ამ პერიოდის სხვა წყაროებიც, კლასში განიხილეთ კვლევა); შემაჯამებელ დავალებად კი მოსწავლეებს სთხოვეთ დაწერონ ესე - ქალთა როლი საბჭოთა კავშირში.

რჩევა: სასურველია ისტორიის გაკვეთილებზე დისკუსიების დროს „გაცოცხლდეს“ წარსული და მოსწავლეებმა ის დღევანდელობას დაუკავშიროს. ამ შემთხვევაში ასეთი გაკვეთილების შემდეგ ძალიან ეფექტური იქნება, რომ მოსწავლეებმა პარალელი გაავლონ დღევანდელობასთან - ქალის როლი დღეს საქართველოში. **ქართლის დედა** - რეალურად ქართველი ქალის სახეა თუ საბჭოთა ქალის პროპაგანდა?!